


**კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების  
შემუშავების პროცესში საჯარო-კერძო დიალოგის ხარისხის  
შეფასება - 2022-2021 წწ.**

მოკლე აღწერა

**შეფასების მეთოდოლოგია**

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით, **კანონების მომზადებისას დიალოგის ხარისხის შეფასება ეფუძნება პოლიტიკის შემუშავების წინასწარ განსაზღვრულ ოთხ ეტაპს:** პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპი, კანონპროექტის ტექსტის შემუშავების ეტაპი, ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან და Ex-ante რეგულირების გავლენის შეფასება. **კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მომზადებისას დიალოგის ხარისხის შეფასება Ex-ante რეგულირების გავლენის ეტაპზე ბონუსად განიხილება და არ წარმოადგენს შეფასების ძირითად კომპონენტს.**

თითოეული ეტაპი მოიცავს 6-7 ქვეკომპონენტს, რომლებიც შეფასებულია 0-დან 3-მდე შკალით. **თავდაპირველად გამოითვლება თითოეული ეტაპის საშუალო მაჩვენებელი 0-დან 3-მდე შკალით. ხოლო შეფასების საბოლოო ქულა წარმოადგენს 4 ეტაპის საშუალო ქულას 0-დან 3-მდე შკალით.** საჯარო-კერძო დიალოგისთვის კი ხარისხის მინიჭება ხდება შემდეგი ფორმით:

დაბალი	საშუალო	მაღალი
		
0<საშუალო ქულა≤1	1<საშუალო ქულა≤2	2<საშუალო ქულა≤3


**შედეგები**

კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შეფასების არსებული საშუალო ქულა **1.78-ს** შეადგენს და აღნიშნული მეთოდოლოგიით განსაზღვრულ საშუალო შეფასებაში მოიაზრება.

## კანონები

კანონების შეფასების საშუალო მაჩვენებელი 1.75-ს შეადგენს. აღნიშნული ჩვენი მეთოდოლოგიით განსაზღვრულ საშუალო შეფასებაში მოიაზრება. ოთხი კანონი ფასდება მაღალი შეფასებით, სამი საშუალო შეფასებით და ერთი დაბალი შეფასებით. “მეწარმეთა შესახებ” კანონმა ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო (2.67).

გრაფიკი 1. კანონების შეფასება და არსებული საშუალო ქულა




წყარო: IDFI

## კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შეფასების საშუალო მაჩვენებელი 1.81-ს შეადგენს. აღნიშნული მეთოდოლოგიით განსაზღვრულ საშუალო შეფასებაში მოიაზრება. სამი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ფასდება მაღალი შეფასებით და ხუთი საშუალო შეფასებით. კანონქვემდებარე ნორმატიულმა აქტმა „სავალუტო ბაზრის მონაწილეთა საქმიანობის წესი“ ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო (2.44) კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს შორის.

გრაფიკი 2. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შეფასება და არსებული საშუალო ქულა



წყარო: IDFI